

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

I. ზოგადი მიმოხილვა

1. შპს ჰელიოს ენერჯის (შემდგომში შემსრულებელი) მიერ დამკვეთისთვის/დამკვეთებისთვის განხორციელებული ნებისმიერი შესრულება ექვემდებარება ქვემოთ მოცემულ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, თუ მათზე მითითებულ იქნა შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის მიცემულ შეთავაზებაში. ამ პირობებისგან განსხვავებულ რაიმე ზეპირ შეთანხმებას არ აქვს სამართლებრივი ძალა. მხარეები უფლებას იტოვებენ, სპეციალური შეთანხმებით განსაზღვრონ სხვა, აქ მოცემული პირობებისგან განსხვავებული პირობები. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალურად შეთანხმებულ პირობებს.
2. წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ატვირთულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე და დამკვეთს წარედგინება ელექტრონული ფორმით. დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია ამ პირობების წერილობითი სახით გაფორმება და ხელმოწერებით დადასტურება.

II. შემსრულებლის შეთავაზება

1. შემსრულებლის მიერ გაკეთებული შეთავაზება დამკვეთისადმი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განიხილება როგორც ოფერტი.
2. დამკვეთის მიერ შეთავაზებაზე აქცეპტი შესაძლებელია გაკეთდეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.
3. აქცეპტად განიხილება ასევე, დამკვეთის მიერ შეთავაზებაში მითითებული ავანსის ჩარიცხვა.
4. მოდიფიცირებული შეთავაზება საჭიროებს ხელახალ აქცეპტს.
5. შემსრულებლის მიერ გაკეთებული შეთავაზება მხოლოდ მასში მითითებული პერიოდის განმავლობაში. ამ პერიოდის გასვლის შემდგომ შემსრულებელს შეუძლია შესწორება შეიტანოს ტექნიკურ პროექტში, შეცვალოს და გამოიყენოს სხვა იმავე მახასიათებლის პროდუქტი.

III. მზის ელექტროსადგურის მონტაჟის სტანდარტი

1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დაამონტაჟოს მზის ელექტროსადგური ან მისი რომელიმე კომპონენტი მხოლოდ შესაბამისი და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით.
2. სტანდარტის დაცვის მიზნით, შემსრულებელი უფლებამოსილია, დამკვეთს მოსთხოვეს ობიექტის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანა და ტექნიკური პირობების დაცვა.
3. სტანდარტის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დამკვეთის პირდაპირი მოთხოვნის შემთხვევაში, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს დამკვეთის მიერ შემსრულებლისადმი წერილობით მიმართვაში. სტანდარტის შეცვლით გამოწვეული რისკების მატარებელი ხდება დამკვეთი.
4. შემსრულებელი განუმარტავს დამკვეთს მზის ელექტროსადგურის მუშაობის პრინციპს, მის მოვალეობებს სადგურის მართვისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სადგურის გამართული მუშაობა.

IV. საავტორო უფლებები

1. შემსრულებელს მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე გააჩნია საავტორო უფლება.
2. საავტორო უფლებასთან ერთად, შემსრულებელი ინარჩუნებს გამოყენების უფლებასაც მის მიერ შექმნილ ნახაზებზე, სამონტაჟო ინსტრუქციებზე, პროექტებზე და სხვა მასალებზე. დამკვეთს არ აქვს უფლება გამოიყენოს საპროექტო დოკუმენტაცია კომერციული თვალსაზრისით, თუ ეს წინასწარ არ იქნა შეთანხმებული შემსრულებელთან.

V. სამუშაოს მოცულობა

შემსრულებლის მიერ გასაწევი სამუშაოს მოცულობა გამომდინარეობს მის მიერ გაკეთებული შეთავაზებიდან. შემსრულებელი უფლებამოსილია სამუშაოების განხორციელებისას ჩართოს ქვეკონტრაქტორი. ქვეკონტრაქტორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მის მიერ განხორციელებული სამუშაოს მოცულობით როგორც შემსრულებლის, ასევე დამკვეთის წინაშე.

VI. გადახდის პირობები; გაქვითვა; ავანსის მიღება

1. შემსრულებლის მიერ განხორციელებული სამუშაო, პროდუქტის მიწოდება, თუ სხვა სახის სერვისი შესაძლებელია შეთანხმდეს უცხოურ ვალუტაში, თუმცა, ანაზღაურდება ხორციელდება ლარში გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსის მიხედვით და მოიცავს ყველას სახის გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.
2. შემსრულებლის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდა, რისი პირობებიც განისაზღვრება შემსრულებლის მიერ გაკეთებულ შეთავაზებაში.
3. შემსრულებლის მიერ გაწეული სამუშაოს ანაზღაურების დრო დგება დაუყოვნებლივ, მის მიერ პროდუქციის მიწოდების ან სამუშაოს დასრულების შემდგომ, თუ შეთავაზებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
4. შეთავაზებაში შესაძლოა შემსრულებლის მიერ ღიად იქნას დატოვებული მზის ელ-სადგურის რომელიმე კომპონენტის ფასი ან რაოდენობა, რაც ექვემდებარება დაზუსტებას პროექტის დასრულების შემდგომ. შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს დაზუსტებულ მონაცემებს ფასთან ან სადგურის რომელიმე კომპონენტის რაოდენობასთან მიმართებით, რის საფუძველზეც განისაზღვრება საბოლოო ასანაზღაურებელი თანხა.
5. მხარეთა შორის შეთანხმებული ვალდებულებების (გადახდის ან სამუშაოს შესრულების) დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს დამკვეთს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 0,15%-ის ოდენობით. ამ უფლების რეალიზება დამოკიდებულია შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის უფლების განხორციელებაზე მითითების შემთხვევაში.
6. შემსრულებლის მიერ პროდუქტის მიწოდების ან სამუშაოს დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებელს მოსთხოვოს ის სარგებელი, რომელსაც იგი მიიღებდა

მზის ელექტროსადგურის დროული ჩართვის ან სხვა სერვისის დადგენილ ვადაში გაწევის შემთხვევაში. სარგებელი დაითვლება მსგავსი სადგურის გამომუშავების შესაბამისად.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ობიექტური გარემოებები, რომლებიც ქმნიან ეჭვს დამკვეთის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით და ამით შესაძლოა საფრთხე შეექმნას შემსრულებლის ფინანსურ ინტერესებს, შემსრულებელს უფლება აქვს მხოლოდ წინასწარი გადახდის საფუძველზე განახორციელოს პროდუქციის და/ან სერვისის მიწოდება. ეს წესი მოქმედებს იმის მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა ეს გარემოებები, ხელშეკრულების დადებამდე, თუ მის შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე შემსრულებლის მიერ წინასწარი გადახდის მოთხოვნის მიუხედავად, დათქმულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას, ან მთლიანად უარს განაცხადებს ვალდებულების შესრულებაზე, შემსრულებელი უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კანონმდებლობის შესაბამისად.

VII. მიწოდების ვალდებულების და მონტაჟის შესრულების წინაპირობები, დამკვეთის თანამონაწილეობის ვალდებულება

1. დამკვეთი ვალდებულია საკუთარი სახსრებით და პასუხისმგებლობის ფარგლებში იზრუნოს, რომ მონტაჟი, მზის ელექტროსადგურის კომპონენტების განთავსება და ჩართვა მოხდეს დაუბრკოლებრივ, შეთანხმებულ ვადებში, რამდენადაც ეს მისი მოვალეობების სფეროშია.
2. დამკვეთის ვალდებულებაა მზის ელექტროსადგურის დაყენების შესაძლებლობის (მაგ. არქიტექტურული ნებართვის საჭიროება და ა.შ.) ან დამაბრკოლებელი გარემოებების გამოკვლევა. აღნიშნული უნდა გაკეთდეს მონტაჟამდე. შეთანხმებით და შესაბამისი საზღაურით შესაძლოა ეს სამუშაო განისაზღვროს შემსრულებლის ვალდებულებად.
3. დამკვეთი ვალდებულია შეამოწმოს, რომ ობიექტის სახურავის კონსტრუქცია გაუძლებს მზის ელექტროსადგურის სიმძიმეს. აღნიშნულის შემოწმება შესაძლოა განისაზღვროს შემსრულებლის ვალდებულებად.
4. დამკვეთი უფლებას აძლევს შემსრულებელს ან მისი სახელით მოქმედ მესამე პირებს, ჰქონდეთ დაუბრკოლებელი წვდომა სამონტაჟო ობიექტზე, რამდენადაც ეს აუცილებელია შეთანხმებული სამუშაოს განსახორციელებლად.
5. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ იღებს ან დაგვიანებით იღებს შესრულებას, ან არღვევს სხვა რაიმე ვალდებულებას, შემსრულებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის და დანახარჯების ანაზღაურება. ვადის გადაცილების შემთხვევაში დამკვეთზე გადადის სადგურის კომპონენტების განადგურების და გაფუჭების რისკი.

VIII. მიწოდების ვადები, მიწოდების დაგვიანება, განადგურების რისკის გადასვლა მზის ელექტროსადგურის კომპონენტების მიწოდებისას

1. ვადები შემსრულებლისთვის მხოლოდ მაშინ არის მბოჭავი, როდესაც ისინი წერილობით ან ტექსტუალური ფორმით შეთანხმდა მხარეთა შორის.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დათქმულ ვადაში განხორციელებისთვის მოითხოვებოდა დამკვეთის მხრიდან მოქმედება, რომელიც ამ უკანასკნელმა ბრალეულად არ განახორციელა, შესრულების ვადა გაგრძელდება იმ პერიოდით, რა პერიოდითაც ხელშეშლას ან დამკვეთის მხრიდან უმოქმედობას ჰქონდა ადგილი.

3. შესრულების ვადა გრძელდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა ამინდის გამო სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც შემსრულებლის მხრიდან ადგილი აქვს ბრალულ ვადის გადაცილებას.
4. შემსრულებელმა შესაძლოა გააკეთოს დათქმა დამკვეთის წინაშე მიწოდების ვადებთან დაკავშირებით, როდესაც შემსრულებლის მიერ პროდუქციის ან სამუშაოს მიწოდება დამოკიდებულია არარეზიდენტ მომწოდებლებზე - და მიწოდების ზუსტი ვადების კონტროლი არ არის შემსრულებლის ზეგავლენის სფეროში. ასეთ შემთხვევაში შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის ვადის განსაზღვრა მოხდება მესამე პირების მიერ განსახორციელებელი ვალდებულებების ვადებზე მითითებით, რომელთა მესამე პირების მხრიდან დარღვევა შემსრულებლისთვის არ წარმოშობს ვადის გადაცილებას დამკვეთის წინაშე.
5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ხელისუფლების აქტების და სოციალური აფეთქებებით გამოწვეული დაუძლეველი ძალის შედეგია და თუ ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროის თანაზომიერად, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა ეს გარემოებები. თუ ეს გარემოებები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარეს აქვს უფლება გააუქმოს ხელშეკრულება და არც ერთ მხარეს არ ექნება მოთხოვნა დანაკარგების ანაზღაურებაზე.
6. შემსრულებელი პასუხს აგებს კანონის მიხედვით ვადის გადაცილებისათვის, როდესაც ეს გამოწვეულია მისი ბრალით მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. პასუხისმგებლობა მსუბუქი გაუფრთხილებლობის შემთხვევებისთვის გამორიცხულია.
7. მზის ელექტროსადგურის კომპონენტების ან მისი ნაწილის შემთხვევითი განადგურების ან დაკარგვის რისკს ატარებს შემსრულებელი. ეს რისკი გადადის დამკვეთზე შემსრულებლის მიერ ამ კომპონენტების მიწოდებისთანავე.
8. თუ შეთანხმებულია შემსრულებლის მიერ კომპონენტების მონტაჟი, შემსრულებელი ატარებს კომპონენტების სწორი მონტაჟის რისკს. განადგურების ან დაზიანების რისკი სრულად გადადის დამკვეთზე სამუშაოს დამთავრების შესახებ დამკვეთისთვის განაცხადის გაკეთებისთანავე.

IX. პირობადებული საკუთრება; ხელშეკრულებიდან გასვლა, დამკვეთის ვალდებულებები

1. მზის ელექტროსადგურის კომპონენტებზე, ასევე საბოლოო პროდუქტზე საკუთრების უფლება გადადის დამკვეთზე მხოლოდ მაშინ, როდესაც განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება. საბოლოო ანგარიშსწორებამდე შემსრულებელი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას მზის ელექტროსადგურის კომპონენტებზე.
2. დამკვეთის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს მიწოდებული კომპონენტების უკან გადმოცემა. დემონტაჟის ღირებულების, ასევე ტრანსპორტირების და იმ ტექნიკური ცვლილების, რაც დამკვეთის ნების საფუძველზე განიცადა რომელიმე კომპონენტმა, ანაზღაურებს დამკვეთი.
3. სადგურის კომპონენტებსა თუ საბოლოო პროდუქტზე საკუთრების უფლების გადასვლამდე დამკვეთი ვალდებულია მოუაროს მათ, უპატრონოს და სათანადო მდგომარეობაში შეინარჩუნოს.
4. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის მიერ მიწოდებული პროდუქტი, რომელზეც საკუთრების უფლება არ არის გადასული დამკვეთზე, სხვის საკუთრებაში მყოფ ნივთს შეერწყმება ან დაუკავშირდება, ახალ

წარმოშობილ ნივთზე შემსრულებელი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ნივთის შერწყმამდე არსებული ღირებულების პროპორციულად.

5. პირობადებული საკუთრების შემთხვევის არსებობისას, დამკვეთს ეკრძალება პროდუქციის დაგირავება ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვა. გადაყიდვა დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამკვეთი არ იმყოფება შესრულების ვადის გადაცილებაში. სადგურის კომპონენტების გადაყიდვიდან ან სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან (დელიქტი, დაზღვევა) წარმოშობილ მოთხოვნებს დამკვეთი თავიდანვე სრული მოცულობით თმობს შემსრულებლის სასარგებლოდ.
6. შემსრულებლის საკუთრებაში არსებული პროდუქციის ან მოთხოვნების დაყადალების, დაგირავების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია მესამე პირს მიუთითოს შემსრულებლის საკუთრების უფლებაზე და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს. შემსრულებლის მიმართ წარმოშობილ სასამართლო, თუ სხვა წარმოების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება დამკვეთს.

X. შესრულების მიღება

1. დამკვეთის მიერ მზის ელექტროსადგურის მიღება ხდება სადგურის ჩართვის და შემსრულებლის მიერ დამკვეთის მიმართ გაკეთებული წერილობითი შეტყობინებისთანავე.
2. სადგურის მიღებად ითვლება ის შემთხვევა, როდესაც დამკვეთი არ მიიღებს სადგურს შემსრულებლის მიერ დათქმულ ვადაში, როდესაც ის ვალდებულია მიღებაზე.
3. სადგური მიღებულად ითვლება, როდესაც სადგური ჩაერთვება დამკვეთის მიერ.
4. სადგურის მიღების თაობაზე შემსრულებლის მიერ დამკვეთის მიმართ კეთდება შეტყობინება, სადაც მიეთითება სადგურის გაშვების თარიღი, ასევე დამკვეთს გადაეგზავნება შესაბამისი საგარანტიო პირობები.
5. დამკვეთი ვალდებულია სადგურის მიღებისას შეამოწმოს სადგურის მუშაობა და ნაკლის არსებობისას გააკეთოს ამის შესახებ დათქმა და შემსრულებელს განუსაზღვროს გონივრული ვადა ნაკლის გამოსწორებისათვის. ნაკლის არსებობისას შემსრულებელი ვალდებულია იგი გამოასწოროს დამკვეთის მიერ დათქმულ გონივრულ ვადაში. მხოლოდ გამოსწორებისთვის დათქმული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ არის უფლებამოსილი დამკვეთი, გავიდეს ხელშეკრულებიდან ან მოითხოვოს ფასის შემცირება.

XI. საგარანტიო პირობები

1. შემსრულებელი პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ნაკლისთვის პასუხს აგებს შემდეგი პირობების შესაბამისად:
 - 1.1 მზის ელექტროსადგურის ჩართვიდან 6 თვის განმავლობაში შემსრულებელი ახორციელებს სადგურის მონიტორინგს დისტანციურად ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მისვლით. ამისათვის დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს სადგურის წვდომა ინტერნეტთან, რათა შემსრულებელმა შეძლოს მუდმივი კავშირის ქონა სადგურის მონიტორინგის პროგრამასთან.
 - 1.2 სადგურის ჩართვიდან 6 თვის განმავლობაში შემსრულებელი ვალდებულია თავისი ინიციატივით აღმოაჩინოს და აღმოფხვრას ნაკლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
 - 1.3 6 თვის გასვლის შემდომ დამკვეთი ვალდებულია პერიოდულად გადაამოწმოს და სადგურის არასათანადო მუშაობისას შემსრულებელს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ.

- 1.4 იმ შემთხვევაში, თუ დადგმულ მზის ელექტროსადგურს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი, შემსრულებელი ვალდებულია გამოასწოროს ეს ნაკლი დათქმულ გონივრულ ვადაში.
2. დამკვეთი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში სადგურის შეკეთება განახორციელოს მხოლოდ შემსრულებლის მეშვეობით. დამკვეთმა არ უნდა მისცეს უფლება მესამე პირებს გაარემონტონ ან შეცვალონ სადგურის ან მისი რომელიმე კომპონენტის სპეციფიკაცია.
 3. საგარანტიო პირობები არ ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც ექვემდებარებიან ბუნებრივ ცვლას, ასევე ზიანზე, რომელიც გამოწვეულია არასათანადო მოპყრობით ან ექსპლუატაციით. იგივე წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევისთვის, როდესაც ზიანი გამოწვეულია დამკვეთის მიერ არაუფლებამოსილი მესამე პირის/პირების ჩართვით.
 4. საერთო საგარანტიო პერიოდი შეადგენს 5 წელს მზის ელექტროსადგურის ყველა კომპონენტისთვის. ეს ვადა აითვლება დამკვეთის მიერ სადგურის მიღებიდან.
 5. საგარანტიო ვადა შესაძლოა უფრო მცირე იყოს რომელიმე კომპონენტის შემთხვევაში, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემსრულებლის შეთავაზებაში, ან სპეციალურ შეთანხმებაში.
 6. 5 წლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მზის ელექტროსადგურის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში, შემსრულებელი საკუთარი ხარჯით და მწარმოებლის მეშვეობით ჩაანაცვლებს დაზიანებულ კომპონენტს, როდესაც კომპონენტის ფუნქციის მოშლა ან დაზიანება არ არის გამოწვეული დამკვეთის ან მესამე პირის ბრალით.
 7. შემსრულებლის საგარანტიო ვადის მიუხედავად, ცალკეულ კომპონენტს შესაძლოა ჰქონდეს მწარმოებლის უფრო გრძელვადიანი გარანტია, რის შესახებაც შემსრულებელი მიუთითებს დამკვეთს.
 8. შემსრულებლის საგარანტიო პერიოდი არ შეიძლება აღემატებოდეს მწარმოებლის საგარანტიო პერიოდს.
 9. შემსრულებლის 5 წლიან საგარანტიო პერიოდში მოქმედებს კომპონენტების ის საგარანტიო პირობები, რაც დადგენილია მწარმოებლის მიერ შემსრულებლის მიმართ. მწარმოებლის საგარანტიო პირობები გადაეცემა დამკვეთს სადგურის მიღებისას.
 10. შემსრულებლის საგარანტიო პერიოდის 5 წლის გასვლის შემდგომ მზის ელექტროსადგურის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში, შემსრულებელი მწარმოებლის მეშვეობით ჩაანაცვლებს დაზიანებულ კომპონენტს, სადაც ლოჯისტიკის (მწარმოებელთან გაგზავნის) ან სხვა სახის ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებს შემკვეთი.
 11. შემსრულებლის საგარანტიო პირობები პროდუქტზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტის მონტაჟი განხორციელდება შემსრულებლის პერსონალის ან მის მიერ უფლებამოსილი პირების მიერ. დამკვეთის მიერ უფლებამოსილი პირები წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსრულებელთან.

XII. ხელშეკრულებიდან გასვლა

1. როგორც შემსრულებელს, ასევე დამკვეთს, უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან კანონით მინიჭებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გარდა იმ შემთხვევებში, როდესაც:
 - 1.1. მიმწოდებლების მიერ შემსრულებლისთვის მოხდა ფასის მომატება, რამაც პროექტის გაძვირება გამოიწვია ჯამში 5 %-ზე მეტად.
 - 1.2. სახეზეა მიმწოდებლების მიერ შემსრულებლისთვის სადგურის კომპონენტების დაგვიანება 3 თვეზე მეტი ვადით.

1.3. სახეზეა 3 პროექტის განხორციელების 3 თვეზე მეტი ხნით დაგვიანება.

2. ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით მეორე მხარისთვის მიმართვით და მასში აღნიშნული უნდა იყოს გასვლის მიზეზი. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შემსრულებლის მიმართ ვადის გადაცილების გამო, თუ ადგილი არ აქვს შემსრულებლის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევას.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით სახეზეა დამკვეთის გადახდისუუნარობის დასაბუთებული ეჭვი, შემსრულებელს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიმართ დაიწყება გადახდისუუნარობის საქმე და ამით საფრთხე ექმნება შემსრულებლის მიმართ არსებული გადახდის ვალდებულებების შესრულებას, შემსრულებელს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან.
4. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარეებს უბრუნდებათ უკან მიღებული შესრულებები.
5. ხელშეკრულებიდან გასვლისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

XIII. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. შემსრულებელი არ აგებს პასუხს დამკვეთის წინაშე, თუ ეს გამოწვეულია მსუბუქი გაუფრთხილებლობით.
2. ეს წესი არ მოქმედებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ზიანი ადგება დამკვეთის ან მასთან დაკავშირებული პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხეულს.
3. პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები მოქმედებს შემსრულებლის წარმომადგენლების და ასევე მის მიერ ჩართული დამხმარე პირების მიმართაც.
4. დამკვეთის მიერ ხელშეკრულებიდან არაუფლებამოსილი გასვლის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების თანხის სრული ოდენობით.

XIV. სარეკლამო პირობა

შემსრულებელს უფლება აქვს თავის საიტზე, რეკლამაში ან შესაბამის საკომუნიკაციო არხზე მიუთითოს სადგური განხორციელებულ პროექტებში. დამკვეთის შესახებ ინფორმაცია და პროექტის ღირებულება კონფიდენციალურია და არ ქვეყნდება.

XV. პროდუქტთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობები

1. ქსელზე დაერთებული სადგურის შემთხვევაში, იმისათვის, რომ მზის ელექტროსადგურმა შეძლოს ელექტროენერჯის ქსელში გაშვება, დამკვეთი უნდა ჩაერთოს ნეტო აღრიცხვის პროგრამაში და გააფორმოს ხელშეკრულება ქსელის ოპერატორთან. დამკვეთი ვალდებულია სადგურის მონტაჟამდე გააკეთოს განცხადება არქიტექტურულ სამსახურში მონტაჟის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულება შეთავაზებით შემსრულებელს არ აქვს ნაკისრი.
2. ნეტო აღრიცხვაში ჩართვისათვის საჭირო მრიცხველის თანხის გადახდა ქსელის ოპერატორისთვის ეკისრება დამკვეთს.

XVI. მზის ელექტროსადგურების ტიპები და მათი მუშაობის პრინციპები

ქსელზე დაერთებული მზის ელექტროსადგური - დღის განმავლობაში, მზის შუქის პირობებში, დამკვეთს მიაწვდის გამომუშავებულ ელექტროენერგიას, რაც გულისხმობს ქსელთან ერთად ერთობლივ რეჟიმში ელექტროენერგიის მიწოდებას. ქსელის გათიშვის შემთხვევაში მზის ელექტროსადგურიც ითიშება ქსელისგან დამოუკიდებელი (კუნძულოვანი) მზის ელექტროსადგური - დღის განმავლობაში, მზის შუქის პირობებში, დადგმული მზის ელექტროსადგური დამკვეთს მიაწვდის გამომუშავებულ ელექტროენერგიას და ამასთანავე შეინახავს აკუმულატორებში. მზის ჩასვლის შემდგომ დამკვეთის ობიექტის მომარაგება განხორციელდება აკუმულატორების სისტემიდან. სადგურს არ აქვს კავშირი ცენტრალურ ქსელთან. სადგურს არ აქვს ქსელთან კავშირი.

ჰიბრიდული სისტემა - დღის განმავლობაში, მზის შუქის პირობებში, დადგმული მზის ელექტროსადგური დამკვეთს მიაწვდის გამომუშავებულ ელექტროენერგიას. მზის სადგურის ტიპია ქსელზე დაერთებული, აკუმულატორების სარეზერვო მარაგით, რაც გულისხმობს ქსელთან ერთად ერთობლივ რეჟიმში ელექტროენერგიის მიწოდებას. ქსელის გათიშვის შემთხვევაში ობიექტს მოამარაგებს აკუმულატორებს სარეზერვო სისტემა.

XVII. დასკვნითი დებულებები, დავების გადაჭრის წესი

1. თუ ხელშეკრულების დადების შემდგომ იცვლება გარემოებები, რის გამოც ხელშეკრულების განხორციელება ერთი ან მეორე მხარისათვის გართულდება ეკონომიკური, ტექნიკური ან სამართლებრივი თვალსაზრისით და რის გამოც შესრულება და საპირისპირო შესრულება მკვეთრად დისპროპორციულია, მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულება მასადაგონ შეცვლილ გარემოებებს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მხარეთა ზიანი.
2. ხელშეკრულების რომელიმე პირობის კანონის ძალით ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს სხვა პირობების ავტომატურად ბათილობას.
3. მხარეთა შორის ნებისმიერ სახის შეთანხმება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.
4. მხარეთა შორის არსებულ ნებისმიერი სახის ურთიერთობაზე ვრცელდება ქართული სამართალი.
5. წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს.